

შპს „ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოფმენტ კო ლტდ“

ს/ნ 205199514

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს „ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოპმენტ კო ლტდ“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

1. მოგება-ზარალის ანგარიშგება
2. ბალანსი
3. ფულადი სახსრების მოძრაობა
4. ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები
5. წმინდა შემოსულობა/დანაკრგი სავალუტო ოპერაციებიდან

მოგება ზარალის ანგარიშგება-2024			
	შენიშვნა	2024 (არა აუდიტირებული)	2023 (არა აუდიტირებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან		1993783	2066654
სხვა საოპერაციო შემოსავალი		27886	14792
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		-1349262	-1054099
სულ საოპერაციო შემოსავალი		672407	1027347
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		-691277	-1218853
ხელფასის ხარჯი		-169765	-244666
ამორტიზაციის ხარჯი		-797799	-795608
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		-154941	-12190
საოპერაციომოგება		-1141375	-1243970
ფინანსური შემოსავლები		25473	39668
ფინანსური ხარჯები			
სულ მოგება		-1115902	-1204302
მოგება/ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან		18616	-6525
მოგებისგადასახადი		-	-
წმინდამოგება/(ზარალი)		-1097286	-1210827
	დირექტორი:		
	ფენგლონგ მა		

შპს „ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოპმენტ კო ლტდ“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მოგება ზარალის ანგარიშგება-2024		
შენიშვნა	2024 (არა აუდიტირებული)	2023 (არა აუდიტირებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	1993783	2066654
სხვა საოპერაციო შემოსავალი	27886	14792
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-1349262	-1054099
სულ საოპერაციო შემოსავალი	672407	1027347
საერთო და აღმინისტრაციული ხარჯები	-691277	-1218853
ხელფასის ხარჯი	-169765	-244666
ამორტიზაციის ხარჯი	-797799	-795608
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	-154941	-12190
საოპერაციომოგება	-1141375	-1243970
ფინანსური შემოსავლები	25473	39668
ფინანსური ხარჯები		
სულ მოგება	-1115902	-1204302
მოგება/ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	18616	-6525
მოგებისგადასახადი		
წმინდამოგება/(ზარალი)	-1097286	-1210827

დირექტორი:
ფენგლონგ მა

გომეჩი



ბალანსი-2024წ	2024 31 დეკემბერი 2024 (არააუდიტირებული)	2023 31 დეკემბერი 2023 (არააუდიტირებული)	2022 31 დეკემბერი 2022 (არააუდიტირებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	107769	97556	109150
არამატერიალური აქტივები	2941819	3725832	4509845
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები	9918391	9918391	9918391
სულგრძელვადიანიაქტივები	12967979	13741779	14537386
ფული და ფულის ექვივალენტები	22663	4997	331792
სასაქონლო მატერიალური მარაგები	21460	18955	175233
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2750803	2686184	2255086
სხვა მიმდინარე აქტივები	6553640	7016727	7430331
სულმიმდინარეაქტივები	9348566	9726863	10192442
სულაქტივები	22316545	23468642	24729828
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებოკაპიტალი	45263145	45263145	45263145
გაუნაწილებელიმოგება	-23998702	-22901416	-21690687
სულკაპიტალი	21264443	22361729	23572458
გრძელვადიანივალდებულებები			
გრძელვადიანისესხები			
სულგრძელვადიანი ვალდებულებები			
მიმდინარევალდებულებები			
სასესხო ვალდებულებები	179111	179111	179111
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	580901	533762	601711
მიღებული ავანსები	0	0	38
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	292088	394040	376548
სულ მიმდინარე ვალდებულებები	1052100	1106913	1157408
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	22316543	23468642	24729866
დირექტორი:			
ფენგლონგ მა			

ბალანსი-2024წ	2024	2023	2022
	31 დეკემბერი 2024 (არააუდიტირებული)	31 დეკემბერი 2023 (არააუდიტირებული)	31 დეკემბერი 2022 (არააუდიტირებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	107769	97556	109150
არამატერიალური აქტივები	2941819	3725832	4509845
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები	9918391	9918391	9918391
სულგრძელვადიანი აქტივები	12967979	13741779	14537386
ფული და ფულის ექვივალენტები	22663	4997	331792
სასაქონლო მატერიალური მარაგები	21460	18955	175233
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2750803	2686184	2255086
სხვა მიმდინარე აქტივები	6553640	7016727	7430331
სულმიმდინარე აქტივები	9348566	9726863	10192442
სულაქტივები	22316545	23468642	24729828
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებოკაპიტალი	45263145	45263145	45263145
გაუნაწილებელი მოგება	-23998702	-22901416	-21690687
სულკაპიტალი	21264443	22361729	23572458
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანისესები			
სულგრძელვადიანი ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სასესხო ვალდებულებები	179111	179111	179111
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	580901	533762	601711
მიღებული ავანსები	0	0	38
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	292088	394040	376548
სულ მიმდინარე ვალდებულებები	1052100	1106913	1157408
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	22316543	23468642	24729866

დირექტორი:
ფეწლონგ მ.



ფულადი სახსრების მოძრაობა	2024	2023
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-333501	-345886
წმინდა ფულადი სახსრებისაინვესტიციო საქმიანობიდან	0	0
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	351167	18683
წმინდა ზრდა (კლება) ფულადი სახსრების	17666	-327203
სავალუტო კურსის ეფექტი		408
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	4997	331792
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	22663	4997
დირექტორი:		
ფენგლონგ მა		

შპს „ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოპმენტ კო ლტდ“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფულადი სახსრების მოძრაობა	2024	2023
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-333501	-345886
წმინდა ფულადი სახსრებისაინვესტიციო საქმიანობიდან	0	0
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	351167	18683
წმინდა ზრდა (კლება) ფულადი სახსრების	17666	-327203
სავალუტო კურსის ეფექტი		408
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	4997	331792
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	22663	4997

დირექტორი:
ფინგლონგ მა

გონი



ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	
	2024
ხელფასის ხარჯი	(169 765.00)
დაზღვევის ხარჯი	(712.00)
კომუნიკაციის ხარჯები	(4 914.00)
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	(362 246.00)
საკონსულტაციო ხარჯი	(91 525.00)
საგადასახადო დასხვა დარიცხვები	(14 278.00)
საბანკო მომსახურების ხარჯი	(1 627.00)
ამორტიზაციის ხარჯი	(797 799.00)
სხვა საოპერაციო ხარჯი	(204 868.00)
სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(11 108.00)
ჯამი	(1 658 842)
დირექტორი:	
ფენგლონგ მა	

შპს „ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოპმენტ კო ლტდ“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	
ხელფასის ხარჯი	2024
დაზღვევის ხარჯი	(169 765.00)
კომუნიკაციის ხარჯები	(712.00)
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	(4 914.00)
საკონსულტაციო ხარჯი	(362 246.00)
საგადასახადო დასხვა დარიცხვები	(91 525.00)
საბანკო მომსახურების ხარჯი	(14 278.00)
ამორტიზაციის ხარჯი	(1 627.00)
სხვა საოპერაციო ხარჯი	(797 799.00)
სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(204 868.00)
ჯამი	(11 108.00)
	(1 658 842)

დირექტორი:
ფენგლონგ მა



შპს „ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოპმენტ კო ლტდ“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

7. წმინდა შემოსულობა/დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან

2024

მოგება/ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან

18616

ჯამი

18616

1. ფინანსური შემოსავლები

2024

საპროცენტო შემოსავალი

25473

სხვა ფინანსური ხარჯი

-154941

ჯამი

-129468

დირექტორი:
ფეგლონგ მა



კორპორატიული ინფორმაცია

(შემდგომში შპს „ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოპმენტ კო ლტდ“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2007 წლის 28 მარტს და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 205199514

ძირითადი საქმიანობა: შპს „ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოპმენტ კო ლტდ“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ხე-ტყის მოპოვება-რეალიზაცია.

იურიდიული მისამართი: კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ჯუმბერ ლეჟავას ქ., N22

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე, როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 100%-იან წილს ფლობს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს ხე-ტყის სამრეწველო საზოგადოება ხუაშენ ლტდ. საქართველოს შემდეგი წილობრივი განაკვეთით: 100%

მომზადების საფუძველი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში მსს ფასს) პირველადი გამოყენების მოთხოვნების გათვალისწინებით ნაწილი 35 „მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლა“.

შესაბამისად, აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ განიხილება, რომ წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების სრულ კომპლექტს, რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის სრულ შესაბამისობაში.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის პირველადი გამოყენება. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის 1 იანვრის და 2024 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული პერიოდისთვის. სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის ანგარიშგებას და სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას. ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად.

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამონაკლისები.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების

საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის შპს „ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოპმენტ კო ლტდ“-ს მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. კომპანიას ასევე გააჩნია უცხოურ ვალუტაში ოპერაციები.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში მიწოდებული პროდუქციის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

-

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის დროს.

მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ტრანსპორტი	5-10
შენობა ნაგებობები	20-40
მანქანა-დანადგარები	10-15
ოფისისა და ჯურთხედობა	2-10

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

მარაგები. მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალის სახით, რომელიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. მაგალითად მანქანა დანადგარების სათადარიგო ნაწილები, სარემონტო მასალები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად მანამ, სანამ არ დააკმაყოფილებს შესაბამის განმარტებას, ეს იქნება ძირითადი საშუალება თუ მიმდინარე პერიოდის ხარჯი. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდგომარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი პროდუქციის დასრულებისა გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით,

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. , ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს რეალიზებული პროდუქციის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად იწახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვისგანმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში.

- არარსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ. სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთმოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებები რისკის მატარებელია.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიათ. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

შემოსავალი რეალიზაციიდან

მიმდინარე წელს კომპანიის შემოსავლები მიიღებოდა ფინანსური შემოსავლობიდან,

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის მთლიანი მოთხოვნა გენერირდება კომპანიის მიმართ დაგროვილი მოთხოვნით. თუმცა მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არ არსებობს სავაჭრო მოთხოვნის გაუფასურების ნიშნები.

საგადასახადო ვალდებულებები

დღეის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია საგადასახადო ვალდებულებები.

შპს „გორგია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოპმენტი კო ლტდ“
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის მთლიანი მოთხოვნა გენერირდება კომპანიის მიმართ დაგროვილი მოთხოვნით, თუმცა მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არ არსებობს სავაჭრო მოთხოვნის გაუფასურების ნიშნები.

საგადასახადო ვალდებულებები

დღეის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია საგადასახადო ვალდებულებები.

